# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 379 | ხუთშაბათი, 9 თებერვალი 1906 წ. | გაზეთის № 2999.

*
* *

ჩემო კარგო, შენს ნაზ სახეს,
ცის მნათობად გადაქცეულს,
ტუჩზედ ღიმილს საამედოს,
თვალთა ხედვის სხივებს—გრძნეულს,
რაღაც ნისლის ბურდი კალთა
ნათელსართმევს და მით ჩრდილავს;
ჭმუნვის ალი შუბლზე დაგქრის,
წამწამებზედ ცრემლებს მბზინავს
გზას უღობავს; ამითა სურს
ხვედრს,—საფლავი გაგითხაროს,
გულს ჩაგიკლას წმინდა რწმენა
და ნაჯობნმა გაიხაროს.

თავს იტყუებს, ჩემო კარგო,
შორს, შორს გავცდით იმის ბრჭყალებს,
მართალია, მსხვერპლის ნახვა
ცრემლით გვივსებს დღეს ჩვენ თვალებს,
მაგრამ გული გასალკლდევდა,
სულმა ფრთები გამოისხა
და რას გვიზამს მტკიცე მებრძოლთ
თუნდა ცის და ქვეყნის რისხვა!..

წვიმიან დროს არე-მარეს
შავი ნისლი ასამარებს,
ნაცვლად სულის ჩამბერავი
სიცოცხლე სდევს ქვეყნად ცვარებს.
ნუ თუ ძალა მოაკლდება
მზის სხივს, დრუბლებს მოფარებულს?
მაშინ რაღა ფასი ადევს
ამ ქვეყანას მოძაგებულს?!..

ვინც ეცემა სრულად გულით,
ის ხომ ლაჩრის მაგვარია,
დეე, დარჩეს შუა წყალში,
ჩვენ სულ სხვა გზა გვაბარია.
ვერც შეგვიცვლის ამ განზრახვას
ვერავისი წყევა—კიცხვა
და რას გვიზამს მტკიცე მებრძოლთ
თუნდა ცის და ქვეყნის რისხვა!..

ხალ. გ—მე

# დ ე დ ე ბ ი

**მოთხრობა ა. აჰარონიანისა.**

(თარგმანი სომხურიდან)

„ზამთრის ყინულები მოლხვა, მოვიდა გაზაფხული, მოფრინდნენ მერცხლები, სიცოცხლის მოყვარე ხალხმა დაინახა ეს და გამხიარულდა, მაგრამ მან ვერასოდეს ვერ შესძლო ენახა თავისი მოყვარენი.“ **იელიშე**

## I

სოფლის პატარა და ნახევრად ბნელ ეკლესიაში იმ ღამეს საკმლის კვამლი ქულა-ქულა მაღლა ადიოდა პაწაწა ფანჯრების ირგვლივ და ბაკსა ჰკრამდა. კანდელის მკრთალ სინათლეზე მოძღვარი დუდუნით კითხულობდა ლოცვებს. მრავლად შეკრებილი მლოცავნიც, ხან ძირს დაფენილ ნესტიან ქილობებზე დაჩოქილნი, ხან კიდევ ზეზე მდგომნი და ხელებ-დაკრეფილნი, ბანს აძლევდნენ მოძღვარს. დედაკაცების განყოფილებაში გამურულ ბოძზე ეკიდა ღვთის მშობლის ხატი შებოლილ გაყვითლებულ ჩარჩოთი. იმის წინ იდგა ერთი ხნიერი დედაკაცი—სუსანა. ეს დედაკაცი და ხატი ორივე დედები იყვნენ; გაშტერებულნი ერთმანეთს შეჰყურებდნენ. კაცს ეგონებოდა, სცდილობდნენ გაეგოთ ერთმანეთის წადილი, ამოეკითხათ ერთმანეთის გულის ნადები. ღვთის მშობელი ზევით ბოძზე იყო, სუსანა—ქვევით დედამიწაზე. ერთი წმინდანი იყო, ძლიერი და სასწაულ-მომქმედი, მეორე—საბრალო, მწუხარე, ულონო მოხუცი, რომელიც მოსულიყო იმის წინაშე სატირლად სათხოვნელად. ღვთის მშობელი სიყვარულით და ღიმილით დაჰყურებდა ქვევით, ფეხ ქვეშ მცურავ, მუხლ-მოდრეკილ ხალხს: ესეთისავე ღიმილით უყურებდა სუსანასაც, რომელიც მოსულიყო ნატკენ გულის გადასაშლელად.

ჩარჩოზე ექვსი პაწაწა წმინდა სანთელი, ყვითელი და საბრალო შესახედაობისა, ბრიალებით იწოდა. თავის მკრთალ და საიდუმლოებით მოცულ სინათლით სანთლები ოდნავ ანათებდნენ ღვთის-მშობლის წყნარ სახეს და პატარა ქრისტეს სავსე, თოვლივით ელვარე ტანს, რომელიც ელვარებაში ცურავდა, როგორც მუქ ტბაზე დილის ნისლში თეთრი გედი. საკმლის კვამლი ოთხსავე მხარეს ქულა-ქულა იკლაკნებოდა და ტრიალებდა ღვთის მშობლის და იესოს გარშემო, თითქოს სცდილობდა თავის ნაკეცებში გაეხვია და მაღლა აეყვანა ეს ციური არსებანი.

დიდი ხანია სუსანა სდგას იმ ადგილას. ეკლესიის ზარის ხმის გაგების უმალ წამოვიდა, როგორც იყო მოახწია და თავის მთრთოლავ და მოხუცებულ თითებით მიაკრა წმინდა სანთლები დამწვარ, გაშავებულ ჩარჩოს, ემთხვია, პირ-ჯვარი გადაიწერა და იქვე გაშეშდა. სანთლები ნახევრად უკვე დამწვარიყო, მაგრამ სუსანა იმავ ადგილას იდგა და ცრემლებით სავსე თვალებს არ აშორებდა ღვთის-მშობლის ხატს. იმის მთრთოლავ ტუჩებიდან ცეცხლის სიტყვები გამოდიოდა, სიტყვები მუდარებისა, ვედრებისა; სუსანა ლოცულობდა. სუსანა ლოცულობდა თავის ერთად ერთ შვილისთვის, თავის ღარიბ საქოსთვის, რომელიც სულ რამდენიმე დღეა წავიდა შორს, უცნობ ქვეყანისაკენ...

„ოჰ, წმინდაო ღვთის-მშობელო!—ევედრებოდა მოხუცი—ყოველ სნეულ გულის, მწუხარე სულის, მკვნესარე დედის შემბრალებელო! ხელი შენი კალთისთვის მომიკიდნია, დამწვარი, ნაღვლიანი გული მომიტანია შენ ფეხთა წინაშე დასადებად: ჩაიხედე შიგ, ღვთის-მშობელო, ნახე: ერთ მხარეს ცრემლი, მეორე მხარეს ცეცხლი მოსდებია გულს და ცრემლი ანთებულს



**ბაირამაშვილი.**

ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტი, მოკლული ოდესაში არეულობის დროს.

# ქართლში მომხდარი ამბების გამო



სოფლის ქალები.



ქალები სახლის წინ.



გლეხები.



გართობა.

ცეცხლს ვერ აქრობს, ალი დიდია. ჩაიხედე და დაინახე, გაჭირვებულთა დედავ! არა, შენ გულის ცეცხლის გაგება იცი? დაინახე, რა ჯოჯოხეთია ჩემ ჩათუთქულ გულში. მერე ერთი შველა, ერთი წამალი მიბოძე, დადოფალო. ბედმა აუარებელ ცოდვების წყალობით, ამ მოხუცებულობის დროს ერთი იარა გამიჩინა, ცეცხლი დაანთო ჩემს გულში. ხომ ნახე, წმინდაო დედაო, ის გოლიათი, მთასავით ვაჟკაცი როგორ ნაკუწ-ნაკუწ აქციეს ურჯულოებმა? აჰ, ტკივილით ნაშობო! გაზრდილი შვილი ამ დამტვრეულ ხელებით სისხლიან საფლავში ჩავასვენე. რა ვუყო: იქნება ჩემმა ცოდვამ მიწ..ა, იქნება უფალი განრისხებული იყო ჩემზე. მეორე შვილიც წავიდა... ვიკვნესე, ვეხვეწე, შევსტირე, ფეხ ქვეშ ჩავუვარდი, რომ არ წასულიყო, მაგრამ წავიდა., სად? ეგ შენ ჩემზედ უკეთ იცი, ღვთის-მშობელო. შორს მთებში, ხევ-ხუვებში. ქვა იმისთვის ბალიშია, კლდე-ლოგინი. გველებთან წყალი უნდა გაიყოს, ნადირთან ბინა, ის დაწანწალებს, მე-კი უპატრონოდ, ოხრად ვარ დარჩენილი, გულ აკვნესებული, სულ ნატკენი, დღე შავი. ღამე ცრემლიანი თვალები კარებისაკენ მიჭირავს, დღისით ვგმინავ, ვიტანჯები· დედაო ღვთის მშობელო, შენთან მოვსულვარ სავედრებლად: მე ვეღარა ვხედავ იმას, შენ-კი უსათუოდ ხედავ· არ მოამოროო შენი კეთილი, შენი მოწყალე, შენი ტკბილი თვალი, არ მოაკლო შენი მფარველობა, დაიცევ ყოველ ბოროტისა და სატკივარისაგან, დარდისა და სისხლისაგან. შენ ხომ შეგიძლიან? თუ მოისურვებ, შავი ღრუბელიც კი ვერ გადაუვლის თავზე. ჩემი გული სულ ერთიან დაკოდილია, ლუკმა-ლუკმად არის ქცეული; სადი ადგილი ალარ დარჩენია ხელ ალა დანის გასასმელად, ახალ იარის გასაჩენად: იმის შავ ძირში, როგორც ბნელ გამოქვაბულის

უკუნეთობაში, სისხლი ზღვად გადაქცეულა და სატკივრებს ალით დუღს, ჩუხჩუხებს, როგორც სავსე ქვაბი კერაზე. დაიხსენი ჩემი შვილი, მოილაპარაკე იმასთან, რომელიც მაგრე სიყვარულით ჩაგიკონია; უყურე, როგორ გეხვევა, მშობელ ძუძუებზე მიკრული, როგორ უნდა გაიგოს შენი გულის ხმა, დედავ, დედავ! ოჰ, მეც დედა ვარ, მეცა მაქვს გული, ძუძუები, ჩემის რძით რამდენი გაზრდილა, ძუძუებზე რამდენი გამითბია და ეხლა აღარ არიან! აღარ არიან! აღარც ერთი არ არის. რვა ვშობე, რვა ტკივლი გამოვცადე და ეხლა ერთიღა დამრჩენია. როგორ ავიტანო, წმინდაო ღვთის-მშობელო! ძუძუები გამიშრა, გული ჩამიქრა, ნაცრად მექცა დარდის ალისაგან; თმა გამითეთრდა, წელი ორად მომეკაკვა. მოვკვდი საფლავებზე სიარულით; ხმელ მიწას ვეკონები, იმ მიწას, სადაც სისხლით შეღებილნი ჩავასვენე. ეხლა აღარც ერთი აღირ არის, რომ გულში ჩავიკრა, რომ ჩემი ვარამი გაიგოს. მეც ხომ ცოდო ვარ? ცოდო ვარ, დედა ვარ, მოხუცებული, ულონო დედა... ოჰ, უბედურთა, საწყალთა გაჭირვებულთა მოწყალე დედავ ალთქმას ვდებ შენ წმინდა ხატის წინაშე, დაე, ყური დამიგდოს ჩვენ ყველას პატრონმა, წმინდა იესომ: ყოველ საღამოს იქ, შენ წინაშე ექვს სანთელს ავანთებ, მუხლს მოვიდრეკ, ცივ მიწას ვემთხვევი, გაჭირვებულსავით კალთებზე ჩამოგეკიდები, მოსვენებას არ მოგცემ, თვალიდან აღარ მოგშორდები, აქ ვილოცავ, ვიტირებ, შევბღავლი ცას, რომ ყური დამიგდოს, რომ ჩემი ერთად ერთი შვილი დაიხსნა, დაიფარო, დაიცვა ოჰ, მოწყალეო დედაო ღვთის-მშობელო! შენი გული დიდია, სიყვარული უზომო! მარტო იმას ნუ მიეშველები: გევედრები, ჯერ სხვებს მიეშველო, სხვა გაჭირვებულთ, საწყლებს, შე-



უქმე დღეს გართობა.



დღეობაზე.



ქორწილი, ეკკლესიიდან მომავალი მეფე-დედოფალი.



სოფლის ნახირი.

წუხებულთ, შენი დიდების მლაღადებლებს, რომელნიც მრავლად არიან ამ ჩვენ ვერანა ქვეყანაში, ჩვენ შავ ცის ქვეშ; ყველაზე ბოლოს ჩემი ხმა შეისმინე, ჩემი ცოდვილი გულის თხოვნა აასრულე. ყოველ შეწუხებულ გულის დედაო, გვედრები უპატრონო ჩემ ნუგეშს.

სანთლები თითო-თითოდ ჩაიწვა. ღვთის მშობლის და მაცხოვრის სახეები ნელ-ნელა დაიმალა და დაიკარგა სიბნელეში. მღვდლის ხმა გაჩუმდა, მლოცველთა დუდუნი შესწყდა, ეკლესია დაიცალა. დედა-კაცთა განყოფილებიდანაც თეთრ, ჩარსავიანების აჩრდილები ერთი-ერთმანეთზე გაიკრიფნენ. სუსანა კი ისევ იქ იყო და ლოცულობდა, თვალებს არ აშორებდა ღთის მშობლის ხატს, გამხმარ მკლავებ აპყრობილი იგი შველას, მოწყალებას სთხოვდა, და ტიროდა და ტიროდა...

— შვილო!.. ეი, ქალო სუსან!

სუსანა განაგრძობდა ლოცვას ახლა მუხლთ მოეყარა და ვერა ხედავდა, რა ხდებოდა, გარშემო. არც ესმოდა რამე.

— სუსან! გვიან არის, ლოცვა გამოვიდა, შვილო!

სუსანამ თავი ასწია. იმის წინ მოხუცი მოძღვარი იდგა!

— მღვდელო! შენს მარჯვენას ვენაცვალე, ვლოცულობ·

— ჰო, შვილო, ვიცი, რომ ლოცულობ, ძრიელ კარგსა სჩადი, ღმერთმა გისმინოს, მაგრამ ლოცვა გათავდა, ხალხი წავიდა, უყურე!

— შენ ხომ იცი, მამაო: ის ერთი ისე გაუბედურდა, დანარჩენებც წავიდნენ, სისხლის ზღვა იყო, ყველანი დაიხჩვნენ. ეს ერთიც ღრე-ტყეს მოედო, მოვსულვარ, რამ ღვთის მშობელს შევევედრო.

— ძრიელ კარგსა სჩადი, შვილო, ძრიელ კარგს, მაგრამ უკვე გვიან არის.

— იცი, მამაო: არ მოვეშვები, არ მოვეშვები ამის კალთებს, ყოველ დღე ესე მოვალ... მე რა დამიშავებია, რომ ამდენი უბედურება დამატყდა, ამდენი სატკივარი მომევლინა, ცოდო არა ვარ? დედა ვარ, დედა, ესეც დედაა. უყურე, თავისი შვილი როგორ ჩაუკონია, როგორ იკრავს გულში. მე კი არავინა მყავს! შენთან ერთად ჩავასვენე მიწაში სისხლში მოსვრილი შვილები?

— ჰო, ჰო, შვილო, კარგი, ეხლა გეყოფა, დანარჩენიც ხვალ...

— მღვდელო, შენ გენაცვალე, ნისლი მოედო ჩემს თავს, ყველაფერი დააბნელა: ამ ცუდ დღეებში, ამ ცუდ დროს იმანაც თავი დამანება, წავიდა! . მე სადღა წავიდე? გამხმარი თავი სად წავიღო? ეჰ, დედა ღვთის მშობელი აქ არის, ყოველ დღე მოვალ, სანთელსაც მოვიტან, კვირაობითაც ახალ პურს გამოვაცხობ, დავარიგებ, სამღთოს დავკლამ, ცრემლიც ჯერ კიდევ მაქვს, თვალები ჯერ არ ჩამქრობია, აი, ამ მიწას დავასველებ. ეჰ, ისიც დედაა, გული აქვს, გულის წუხილს გაიგებს, ნუგეშს მომცემს. ასე არ არის?

— ეგრეა, შვილო, ეგრე, ყოველ დღე მოდი, ილოცე, დედა ღვთის მშობელი მოწყალეა, კეთილს მოგანიჭებს. ეხლა კი წავიდეთ, გვიან არის, სანთლები უკვე ჩამქრალა.

სუსანამ თითქოს შეამჩნია, რომ სანთლები ჩამწვარიყო, აიხედა ზევით, მაგრამ სიბნელეში ბოძზე ხატებიც აღარ სჩანდა. აღარ მოსჩანდა ღვთის მშობელი, წითელი სარტყელი და ლურჯი სახურავი, იმისი მშვიდი თვალები ღიმილით აღარ იყურებოდნენ ქვევით, პატარა ქრისტეს თოვლივით თეთრი ტანი თეთრ ღრუბელსავით აღარ დაცურავდა. ყველა ამის ნაცვლად პაწაწინა, შემურულ ჩარჩოში ძლივს მოსჩანდა გაურკვეველი ლაქები, ბნელი აჩრდილები.

სუსანამ პირჯვარი გადიწერა და კანკალით ნელ-ნელა გარედ გავიდა. მღვდელი ჩუმად უყურებდა, და როცა ბერთოლარე მოხუცი სიბნელეში მიიმალა, თავი გაიქნია და ნელის ხმით წარმოსთქვა:

— საბრალო დედაკაცი! რა უნდა იყოს მაგისი ბოლო? თითქმის გონება დაუკარგავს: დიდება შენ, უფალო, დიდება შენ, უფალო!..

გარედ ბნელოდა.

უ. კ—სა

(შემდეგი იქნება)




— კანფეტები არა გნებავთ?




მიირთვით!

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ზ. ჯაბადარი.

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხ—ხა.
ვანქის დიდი ქუჩა.—ტელეფონი № 372